ძვირფასო დედებო!, გილოცავთ დედის დღეს! გისურვებთ სულიერ სიმშვიდეს, შვილთა სიმრავლეს, დღეგრძელობას, სიკეთეს და ბედნიერებას. თქვენი ლოცვის ძალა არ დაჰკლებოდეს საქართველოს შვილებს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი

კონსტანტინე შარაშენიძე

გაზაფხულის ამ ულამაზეს და სიყვარულით აღსავსე დღეებს გილოცავთ ქალბატონებს! ლაღ და სიხარულით სავსე დღეებს გისურვებთ, თქვენი როლი უმნიშვნელოვანესია საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გძონოდეთ წარმატებები და წინსვლა, როგორც პირად , ისევ საზოგადო საქმიანობაში.

პატივისცემით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დარჩია

ძვირფასო ქალბატონებო, გაზაფხულის ლამაზ დღესასწაულებს გილოცავთ! წარმატებებით გეცხოვროთ მუდამ, ბედნიერ დღეთა სიმრავლეს გისურვებთ!

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

გიორგი ღურჯუმელიძე

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 9 (10346) 2 მარტი, 2020 წ. ფასი 60 თეთრი.

კოლეჯ „ჰორიზონტში“ მეჩაიეობის სპეციალობის სატრენინგო პროგრამის დასრულების ცერემონია გაიმართა

გაეროს განვითარების პროგრამის „საქართველოს სოფლის მეურნეობაში პროფესიული განათლებისა და ექსტენციის სისტემების მოდერნიზება“ პროექტის ფარგლებში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში პროექტი „სოფლის მეურნეობის პროფესიული განათლების მხარდაჭერა გურიის რეგიონში“ განხორციელდა.

პროექტის ფარგლებში გურიის რეგიონში მოქმედი 16 ჩაის გადამამუშავებელი საწარმოს 21 თანამშრომელი გადამზადდა ჩაის წარმოების ტექნოლოგიებში. მათ მიიღეს გამოცდილება ჩაის მოვლა-მოყვანის საკითხებში, ჩაის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებში, ჩაის დეგუსტაციის და ჩაის წარმოების ეკონომიკურ საფუძვლებში. სასწავლო პროგრამა ჩატარდა ადგილობრივი მაღალკვალიფიციური ტრენერების მონაწილეობით. თეორიულ სწავლებასთან ერთად, ტარდებოდა პრაქტიკული მეცადინეობებიც.

როგორც საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ, გიორგი ხანიშვილმა აღნიშნა, მსგავსი პროექტები მნიშვნელოვანია, რადგან გურიისთვის ჩაის კულტურა ტრადიციაა.

–„კოლეჯ „ჰორიზონტში“ ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა გვაქვს. მნიშვნელოვანია, რომ ამ კოლეჯის ბაზაზე გადამზადდა ფერმერები, ის ადამიანები, რომლებსაც სურვილი აქვთ, ჩაის მიმართულებით განავითარონ თავიანთი ბიზნესი. გურიისთვის ტრადიციული კულტურაა, სამწ-უხაროდ წლების განმავლობაში დაიკარგა ამ მიმართულებით სპეციალისტები ამ დარგში. დღეს ამ კოლეჯის ბაზაზე მოხდა ამ ტრადიციების აღდგენა, პირველი ნაკადი გამოვუშვით, 20-ზე მეტ ადამიანს გადავეცით სერთიფ-

გვ-2

დაბა გომისმთა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რიგით 30-ე ტერიტორიული ერთეული იქნება

ალიონი. 26 თებერვალს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, რიგგარეშე სხდომაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ტერიტორიაზე - დასახლების (დაბა) გომისმთის შექმნის თაობაზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის **კონსტანტინე შარაშენიძის** მიერ წარმოდგენილი წინადადება მოიწონა და შესაბამისი განკარგულება დაამტკიცა.

საკითხი ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **ალეკო მამეშვილმა** წარმოადგინა.

„იყო ადმინისტრაციულ ერთეულად მიღების საკითხზე მსჯელობა, ასევე იყო სოფელ შემოქმედის საზღვრებში მოქცევის საკითხიც. დღეს მივდივართ იქით, რომ მოხდეს კურორტ გომისმთის დამოუკიდებელ ტერიტორიულ ადმინისტრაციულ ერთეულად ჩამოყალიბება. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას მომართეს სოფელ ბოხვაურისა და შემოქმედის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრებმა მოქალაქეებმა სამოტივაციო წერილით, რომ აქვთ სურვილი, რეგისტრაცია გაიარონ და გახდნენ კურორტ გომის მთის მცხოვრებლები. ამ განცხადების საფუძველზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ მიმართა საკრებულოს, რათა დაწყებული იქნეს პროცესი გომისმთის რეგისტრაციასთან დაკავშირებით“, – აღნიშნა მამეშვილმა. მანვე ისაუბრა ასევე გომისმთის, როგორც კურორტის ისტორიაზე, რომელიც 1931 წელს დაიწყო, ხოლო 1950 წელს შევიდა პირველი გზა და 90 წელია ეს კურორტი არსებობს გომისმთის სახელით. *„სახელდებასთან დაკავშირებით დაგვჭირდება საკრებულოს თანხმობა, რომ მოწონებული იქნეს სახელწოდება „გომისმთა“. მე მქონდა საუბარი და კომუნიკაციაში ვარ სამინისტროსთან. ხელისუფლება და საქართველოს მთავრობა მზად არის შემჭიდროებულ ვადებში, მხარი დაუჭიროს თქვენს გადაწყვეტილებას, გომის მთასთან დაკავშირებით. ვიმედოვნებ, მალე გომის მთას დაბის სტატუსი მიენიჭება“*

საკრებულოს სხდომაზე, კურორტ გომისმთისათვის დამოუკიდებელი დაბის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით თავისი დადებითი პოზიცია დააფიქსირა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ღურჯუმელიძემ..**

დეპუტატმა ლავრენტი **ბიგვავამ** საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დასკვნა წარმოადგინა და ისაუბრა მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილ წერილზე, რომ კურორტ გომის მთას დაბის კატეგორია მიენიჭოს.

„მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ პროცესი, რომელიც დაწყებული იყო და გომისმთა შემოქმედის საზღვრებში უნდა მოქცეულიყო, უარყოფილი იქნა. ამ პროექტის განხორციელება ნიშნავს კურორტის მდგრად განვითარებას; ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური სარგებლის ზრდას და ჯანსაღი საცხოვრებელი გარემოს შექმნას; ინფრასტრუქტურულ გაუმჯობესებას; ტურისტული მიმზიდველობის და შემოსულობების ზრდას ადგილობრივ და სახელმწიფო ბიუჯეტში“ – თქვა ლავრენტი ბიგვავამ.

საკრებულოს სხდომაზე ერთხმად აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნა მიღებული. გომისმთისთვის დასახლების კატეგორიის მინიჭება, საშუალებას მოგვცემს კანონის ფარგლებში მოვაქციოთ ყველა პროცესი და ხელი შევუწყოთ კურორტის გეგმაზომიერ განვითარებას.

მას შემდეგ, რაც საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია** მთავრობას შუამდგომლობით მიმართავს, საქართველოს მთავრობა საბოლოოდ განსაზღვრავს გომისმთისთვის დასახლების, დაბის კატეგორიას და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში რიგით 30-ე ადმინისტრაციული ერთეული, დაბა გომისმთა იქნება.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჩშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ოზურგეთში პოლიტიკური გაერთიანება „ლელოს“ ოფისი გაიხსნა

ალიონი. 24 თებერვალს, ქ. ოზურგეთში, პოლიტიკური გაერთიანება „ლელოს“ ოფისი გაიხსნა.

როგორც ამ გაერთიანების თავმჯდომარე **მამუკა ხაზარაძემ** ოფისის პრეზენტაციაზე განაცხადა, ისინი იზრუნებენ სამუშაო ადგილების შექმნაზე, სიღატაკის დაძლევაზე, ქვეყნის ისეთ გზაზე დაყენებაზე, რომ ერთხელ და სამუდამოდ არ გვქონდეს იმის განცდა, რომ ქვეყანა 30 წელია ერთ წრეზე არ ტრიალებს.

–აი, ამისთვის შევიკრიბეთ ჩვენ დღეს აქ. ამის საპირისპიროდ ჩვენ დღეს გვთავაზობენ გავფრინდეთ ჩვენი ქვეყნიდან იაფიანი ბილეთებით, დავსაქმდეთ სხვა ქვეყანაში და პრაქტიკულად არანაირი ხედვა, არანაირი გეგმა არაა თუ როგორ უნდა განვითარდეს ქვეყანა, მისი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა. ვართ ყოველდღიურ იმ რეჟიმში, რომ სატელევიზიო გადაცემებს ვუყ-ურით, როგორ არიან ადამიანები ერთმანეთს დაპირისპირებულნი, როგორ ვართ ჩაფლული ყოველდღიურ პატარ-პატარა პრობლემებში. არ ვმსჯელობთ იმაზე, თუ როგორ უნდა გავერთიანდეთ, როგორ შევძლოთ ერთად ამოვიდეთ მენტალური ჭაობიდან.

ჩვენ ვამბობთ, რომ ეს ხელისუფლება უნდა წავიდეს, მაგრამ ჩვენი ენერგია უნდა დავხარჯოთ იმაზე, რომ რომ ჩვენ ვიცოდეთ, ხვალ რო-გორ ქვეყანას ვაშენებთ, როგორ შე-ვქმნით სამუშაო ადგილებს და რო-გორ შევძლოთ სიღატაკიდან ამოვიყვანოთ ეს ლამაზი კუთხე –განაცხადა მამუკა ხაზარაძემ.

პრეზენტაციაზე სიტყვებით გამოვიდნენ პოლიტიკური გაერთიანება„ლელოს“ პოლიტსაბჭოს წევრები: **ბადრი ჯაფარიძე, თამაზ დათუნაიშვილი,** „ლელოს“ ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელი **კახა** სიორიძე.

კოლეჯ „ჰორიზონტში“ მეჩაიეობის სპეციალობის სატრენინგო პროგრამის დასრულების ცერემონია გაიმართა

იკატები, ეს იქნებიან ის ადამიანები, რომლებიც ჩაის დიდების დაბრუნებისთვის იზრუნებენ“, – განაცხადა მედიასთან გიორგი ხანიშვილმა.

შეხვერდრას გაეროს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელი, **ლუიზა ვინტონიც** ესწრებოდა, რომელმაც აღნიშნული პროგრამის განხორციელებაზე კმაყოფილება გამოთქვა და იმედოვნებს, რომ სამომავლოდ ქართული ჩაი ექსპორტზეც გავა.

„მოხარული ვარ, რომ ოზურგეთში ვიმყოფები, ეს არის ჩემი მეორე ვიზიტი ამ ქალაქში. პირველად ჩაის ფესტივალზე ვიყავი და აღფრთოვანებული ვარ ამ ფესტივალით. ძალიან ვამაყობ, რომ სოფლის მეურნეობის და განათლების სამინისტროსთან პარტნიორობით, კოლეჯ „ჰორიზონტთან“ ერთად, ჩვენ შევძელით, განგვეხორციელებინა ეს პროგრამა. ფაქტია, რომ წარსულთან შედარებით, როცა საქართველო ჩაის წარმოებით განთქმული იყო, ძალიან ცოტა ჩაი იწარმოება. ფაქტობრივად, ექსპორტი არ არსებობს. ამიტომაც, ჩვენი მთავარი მისიაა, რომ რაც შეიძლება მეტი კვალიფიციური პროფესიონალი გვყავდეს ამ სფეროში,სამომავლოდ რომ შესაძლებელი იყოს ექსპორტიც. მივულოცეთ კურსდა-მთავრებულებს, აწი მათი გზა ხსნილია ჩაის წარმოების და დამუშავების სფეროში“, – აღნიშნა ლუიზა ვინტონმა.

გურიისთვის ჩაის კულტურის მნიშვნელობაზე ისაუბრა სახელმწიფო რწმუნებულმა გურიის რეგიონში, ზურაბ ნასარაიამ.

„გურიის რეგიონისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ჩაის კულტურის განვითარება, ვინაიდან წლების მანძილზე გურია იყო ერთ-ერთი მთავარი რეგიონი, რომელიც აწვდიდა ჩაის მთელ საქართველოს და ექსპორტზე გაჰქონდა პროდუქცია. დღეს ჩვენთვის მნიშვნელოვანია,რომ ამ მიმართულებით რაც შეიძლება მეტი სპეციალისტი გადამზადდეს. გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში ჩატარდა გურიაში ტრენინგები, რომელიც მთლიანად დააფინანსა გაეროს განვითარების პროგრამამ. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ დიდი ყურადღებაა ჩვენი რეგიონის მიმართულებით. განხორციელებაში ჩართულია სოფლის მეურნეობის სამინისტრო, განათლების სამინისტროც და ერთობლივი პროექტით გვყავს უკვე ის სპეციალისტები, რომლებიც თავიანთ კოლეგებს გაუზიარებენ იმ გამოცდილებას, რაც მათ დააგროვეს. ჩვენს რეგიონში მალე ახალი, თანამედროვედ აღჭურვილი სანერგე მეურნეობა იქნება“–განაცხადა ზურაბ ნასარაიამ.

სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სხდომა გაიმართა

გურიის სახელმწიფო რწმუნებულის ზურაბ ნასარაიას ხელმძღვანელობით, რწმუნებულთან-არსებული საკონსულტაციო ორგანოს, სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა.

შეხვედრაზე მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული, ასევე სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი პროექტები განიხილეს. ისაუბრეს საჯარო სკოლების რეაბილიტაციის, სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრის მშენებლობისა და მუნიციპალიტეტების წინაშე არსებულ სხვა საჭიროებებზე.

სხდომას რწმუნებულის მოადგილეები აკაკი შენგელია, გია ებრალიძე, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ

თამაზ ჟღენტის ოჯახს სახლის სახურავის მასალა გადაეცა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საქართველოს პარლამენტში ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის არჩილ თალაკვაძის ბიუროს შუამდგომლობით, სოფელ დვაბზუში მცხოვრებ თამაზ ჟღენტის ოჯახს, მუნიციპალიტეტმა სახლის სახურავის მასალა გადასცა. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით მოხდა სახლის გადახურვაც.

თამაზი ჟღენტის სახლის სახურავი, რომელიც მძიმე საცხოვრებელ პირობებში ცხოვრობს და ამვდროულად შშმ პირია, სტიქიის შედეგად დაზიანდა.

ოჯახი საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩიამ, საკრებულოს წევრებთან და ბიუროს ხელმძღვანელ ლაშა ჭელიძესთან ერთად მოინახულა.

ჩვენო მკითხველო, „დედის დღე და გაზაფხული ერთად მოგვილოცნია“...

„რამდენად დიდი პასუხისმგებლობაა, იყო მრავალშვილიანი დედა“

მარი კოძოევი

დედის დღე საქართველოში ქვეყნის პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ინიციატივით 1991 წელს დაწესდა. მას საქართველოში ქალთა საერთაშორისო დღე 8 მარტი უნდა ჩაენაცვლებინა თუმცა ის ცალკე მაინც აღინიშნება. „დედის დღის“ აღნიშვნის სამშობლოდ ამერიკის შეერთებული შტატებია მიჩნეული. აქვე უნდა ითქვას, რომ ლაპარაკია ამ დღესასწაულის თანამედროვე ფორმაზე, თორემ დედის დღის აღნიშვნას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს და სათავეს ჯერ კიდევ ანტიკურ საბერძნეთში იღებს.

დღეს ოთხ მრავალშვილიან დედაზე მოგიყვებით. ოთხ ქალზე განსხვავებული ისტორიით და ერთი შემართებით, რომ მრავალშვილიანი დედობა ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა და ამასთან უზარმაზარი ბედნიერებაა.

ანა ვაჩნაძე 36 წლისაა. 6 შვილი ჰყავს **გიორგი, ბარბარე, მართა, ესაია, ელისბარი და შიო..** *„წინასწარ არ მიფიქრია, რამდენი შვილი უნდა მყოლოდა, ყველაფერი თავისთავად მოხდა. უფალმა ასე გადაწყვიტა. რამდენად დიდი პასუხისმგებლობაა იყო მრავალშვილიანი დედა, იმდენად დიდი ბედნიერება და სიყვარულია. ხშირად მეკითხებიან, როგორ ვახერხებთ ექვსი შვილის გაზრდას. მათ გამო ენერგია მემატება. დღის ბოლოს ბაშვები რომ დაიძინებენ და გადახედავ, გაანალიზებ, დღემ კარგად ჩაიარა ახალი დღეს სიხარულით ელოდები. სადღაც წავიკითხე: შვილები დედის გამოცდაა. როგორც გაზრდი შვილებს, ისე გაქვს გამოცდა ჩაბარებულიო და მართლაც ასეა.“* – გვითხრა მან.

ანა ამბობს, რომ მრავალშვილიან დედობას საკუთარი თავის რეალიზებაში ხელი არ შეუშლია.

„შვილები საფუძველს იძლევიან, რომ უფრო მეტი გავაკეთოთ. მათაც აქვთ მოთხოვნილება, რომ მშობლები რეალიზებულები ჰყავდეთ. ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვებს დედის ხელი არ მიაკლდეთ. ჩვენ რომ ვმუშაობთ, ეს ბავშვებზე არ უნდა აისახებოდეს. უფროსები უმცროსების აღზრდაში იმ დონით იღებენ მონაწლეობას რა დონითაცაა მათი სურვილი. მე არაფერს ვაძალებ, ვაცდი შეიგრძნონ ბავშვობა.“ – ამბობს ანა ვაჩნაძე.

აქვე აღნიშნავს, რომ სახელმწიფო მრავალშვილიანი ოჯახებისთვის გარკვეულ პროგრამებს ახორციელებს, მაგრამ უფრო მეტი ხელშეწყობაა საჭირო, ხაზს უსვამს ინფორმაციის ნაკლებობასაც.

„ჩვენს ირგვლივ ინფორმაციის ნაკლებობაა. მაგალითად გამოვიდა ახალი კანონი რომელიც ეხება მრავალშვილიან დედებს. თუ შენით არ მოიძიე, იაქტიურე, არავინ არ მოვა და არ გეტყვის, რომ ეს კანონი შენც გეხება. აუცილებლად შენ უნდა მიხვიდე შესაბამის სამსახურებში და უთხრა: – მე რომ ეს მეკუთვნის, სად არის. მაგა-ლითად, ახლა ელექტროენერგიის ვაუჩერი ეძლევათ მრავალშვილიან დედებს და ჩემს ირგვლი ეს ბევრმა არ იცოდა. ამიტომ მე მაქვს იდეა და ალბად განვახორციელებ, რომ ინტერნეტსივრცეში გავერთიანდეთ მრავალშვილიანი დედები, რათა გავზარდოთ ერთმანეთის ინფორმირებულობა. ეს იქნება აქტივობა ყოველგვარი პოლიტიკის გარეშე“.

ნატო ქათამიძე-ერქომაიშვილი 38 წლისაა და ხუთ შვილს ზრდის. **ლაზარე, ტარიელ, ლუკა, ანა, ბარბარე ერქომაიშვილებს.**

„ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, იყო ხუთი შვილის დედა. ყოველთვის მინდოდა ბევრი შვილი მყოლოდა, ჩემს მეუღლესაც ივივე სურვილი ჰქონდა. აღზრდაშიც ძალიან მეხმარება. ასევე მეხმარებიან დედა და დედამთილი. ახლო ნათეს-ავებში მარტო მე ვარ მრავალშვილიანი დედა. უფროსი ტყუპები უკვე მე-12 კლასში არიან. ყველას ვეტყვი, რომ კარგია ბევრი შვილის დედობა და ვურჩევ, გააჩინონ რამდენსაც ღმერთი მისცემთ“, – გვეუბნება ნატო.

ქრისტინე შაფაქიძე 36 წლისაა და 6 შვილი ჰყავს, ორი ბიჭი და ოთხი გოგო: **თომა, მარიამი, ბარბარე, სიდონია, ნინო, ლაზარე**. უფროსი უკვე ოცი წლისაა, სტუდენტი.

„იყო მრავალშვილიანი დედა, ეს უფლის ნება, წყალობა და შეუფასებელი სიყვარულია. ამ სიყვარულით ვართმევთ თავს ყველაფერს, ძალა გვემატება“ – გვეუბნება ქრისტინე.

39 წლის ია თოიძე 6 შვილის **ირაკლი, ნიკოლოზი, ნატა, ნინო, ნია, მარიამ** ტუღუშების დედაა. ბავშებიდან ოთხი სკოლაში სწავლობს, ოთხი– ბაღშია. უფროსი უკვე მე-12 კლასშია ფანდურსა და ფორტეპიანოზე უკრავს. მუსიკის ნიჭი გენეტიკურად აქვთ. ჩემი დიდი ბებია ანეტი, არტემ ერქომაიშვილის და იყოო,- გვიყვება ია. თავად იაც მუსიკის პედაგოგია.

„ბევრ შვილს ჩემი პიროვნული განვითარებისთვის ხელი არ შეუშ-ლია. სახელმწიფოს მხრიდანაც არ ვართ უყურადღებოდ, თუმცა მარტო სახელწიფოს და ხელშეწყობის ფაქტორიც არაა მნიშვნელოვანი, მთავარია სურვილი“, – გვეუბნება ია..

ჩვენი ოთხივე რესპოდენტი შემოქმედის ბაღის თანამშრომელია.

„ჩვენი მენეჯერის, ნანა ღლონტის დახმარების გარეშე, მუშაობას ვერ შევძლებდით, მისგან გვაქვს მხარდაჭერა. რა თქმა უნდა, ჩვენს საქმეს კარგად ვაკეთებთ, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში ხელს გვიწყობს“, – გვეუბნებიან ისინი.

ნანა ღლონტი, შემოქმედის ბაღის მენეჯერი: *„საკუთარი შვილი არ მყავს, მაგრამ ბევრი ბავშვის აღმზრდელი ვარ. ძალიან მიყვარს თითოეული მათგანი. ხანდახან მავიწყდება რომ შვილი არ მყავს. დამდეგ დედის დღეს მივულოცავ ჩემს მრავალშვილიან თანამშრომლებს.* ბედნიერი დედები არიან. მეც ბედნიერი ვარ მათთან ერთად რომ მიწევს ყოფნა. მინდა მეტი მხარში დგომა ქონდეთ მრავალშვილიან მშობლებს.

გმირულად დაღუპულ იუნკერთა ხსოვნის პატივსაცემად

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი, ქართული კულტურის დესპანი **დავით შემოქმედელი** მონაწილეობდა 23 თებერვალს კოჯორში რუსეთის ინტერვენციის დროს გმირულად დაღუპულ იუნკერთა პატივსაცემად გამართულ ღონისძიებაში.

გამოითქვა მოსაზრება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს რუსთაველის საზოგადოებას შორის სამომავლო კულტურულ ღონისძიებებში დაახლოების შესახებ.

საკრებულოს ბიუროს სხდომა გაიმართა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო მორიგ სხდომაზე საკრებულოს 5 მუდმივმოქმედი კომისიის მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის შემაჯამებელ ანგარიშებს მოისმენს.

ანგარიშების მოსმენა, დღეს, საკრებულოს ბიურომ მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეიტანა. სხდომას საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია** უძღვებოდა.

ბიურომ განიხილა და გადაწყვეტილება მიიღო, საკრებულომ იმსჯელოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ“ – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების

შესახებ.

საკრებულოს ბიურომ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის, საკრებულოს სხდომაზე განხილვა მიზნაშეწონილად მიიჩნია. სამართლებრივი აქტის პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობდა.

ბიუროს მიეწოდა და საკრებულო ცნობად მიიღებს ინფორმაციას, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის ცვლილების შესახებ, დავით მჟავანაძეს ბესო ქათამაძე ჩანაცვლებს.

საკრებულოს მორიგი სხდომა 4 მარტს გაიმართება.

მშვიდობით, ნუკრი!

შენისთანა კაცის გარდაცვალება დიდი ტრაგედიაა თითოეული ჩვენგანისთვის და ზოგადად ქვეყნისთვისაც. ჩვენი სამეგობროსა და სანაცნობოს თვალსაწიერში არ გვეგულება ისეთი ადამიანი, ვინც არ გგლოვობს, ვინც შენი დაკარგვის სულმწარე ტკივილს არ გრძნობს. ვიცოდით, შენი ჯანმრთელობის მკვეთრად გაუარესების ამბავი, ისიც ვიცოდით, რომ ხანგრძლივად არ გასტანდა ასე, მაგრამ სამარადჟამოში შენს ასე ადრე გადანაცვლებას ნამდვილად არ ველოდით.

ვერ ვეგუებით და ვერც შევეგუებით წარსულ დროში შენს მოხსენიებას. როგორ გვინდა, რომ ეს წერილი ტრადიციულ მოსაგონარს არ ჰგავდეს, უფრო თბილი იყოს, რაღაცით განსხვავებული, შენი საკადრისი... მაგრამ ასეთი წერილების წერა ხომ მხოლოდ შენ შეგეძლო. ჩვენს გონებაში ახლა შენი სახელი შვიდივე ბრუნვაში ტრიალებს და ისე გაცილებთ, შვიდივეს ძახითი ნიშანი აზის.

ახალს არაფერს ვამბობთ, შენმა და ჩვენმა ოზურგეთმა (არა მხოლოდ) ხომ ყველაზე კარგად იცის, ვინც დაკარგა, იცის, რომ:

– ნუკრისნაირი მოკრძალებული, თავმდაბალი კაცები იშვიათად იბადებიან და საუკუნეებში მხოლოდ რამდენჯერმე თუ გამოანათებენ;

– ნუკრის შესწევდა ძალა, ჭირში მთმენი და ლხინში მლხენი ყოფილიყო და ორივეგან მეგობრისთვის ბოლომდე გახარჯულიყო;

– ნუკრი კაცობის, ადამიანობის ერთგვარი საზომი იყო, ზომიერი და ზუსტი;

– ნუკრი კალმის დიდოსტატი გახლდათ, კი არ წერდა, ქმნიდა... და არა მხოლოდ ჟურნალისტიკაში, თანამედროვე ქართულ პროზაშიც, მეტადრე ნოველებში. ორისამი სიტყვით ეპოქის მოცვაც კი შეეძლო მრავლისმეტყველად.;

– ნუკრი ის კაცი იყო, ვისაც შეეძლო საერთო ენა მოეძებნა დიდთან თუ პატარასთან,

– ნუკრი ის კაცია, რომლის სახელსაც ლურჯ ცაზე მზე ამოტვიფრავს ოქროსფერი სხივებით;

– ნუკრი ის კაცია, რომლის ხსოვნის სანთელს მარადიულ ნათებას მიანიჭებს უფალი...



მშვიდობით, მშვიდობით, ჩვენო მეგობარო, ჩვენო განუმეორებელო ნუკრი!!!

მადლობა უფალს, რომ გვყავდი, გვყავხარ და გვეყოლები.

„ალიონის“ რედაქცია

დროსთან მართალი

დღევანდელ სულიერებაგაცლილ და ზნეობამორყეულ სამშობლოში, როცა მხოლოდ მისი მცირე ნაწილი ინარჩუნებს სულიერ სიმტკიცეს, ყოველი ღირსეული კაცის გაცლა ამ წუთისოფლოდან არა მარტო ოჯახისა და მეგობრებისათვის, ქვეყნისთვისაც დანაკლისია, მით უფრო, თუ ის მაღალი პროფესიონალიზმითა და შემოქმედებით ნიჭითაც არის დაჯილდოებული. სწორედ ამგვარ პიროვნებათა რიგს მიეკუთვნებოდა ნუკრი ნიკოლაიშვილი. დიდი რუდუნებითა და ერთგულებით 4 ათეული წელი ემსახურა იგი ჟურნალისტიკას. ქართულ პრესაში, უმრავლეს შემთხვევაში, ტოტალურად გამეფებულ სიცრუისა და არაპროფესიონალიზმის ნიაღვარიდან მის ნაწერებს უმალ შეიცნობდით ჟურნალისტური ეთიკითა და წერის მაღალი კულტურით. მისი წერილები გამოირჩეოდა სისადავით, მოვლენათა ზუსტი აღწერით, ანალიტიკური აზროვნებითა და ლაკონურობით.

რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს, ბევრისათვის უცნობი იყო რომ ნუკრი ნიკოლაიშვილი წერდა ნოველებს. გამოცემული აქვს ნოველების წიგნი „ვიდრე მდინარე დაიკლებს“(გამომცემლობა „დავითი“). მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაწარმოებებისათვის დამახასიათებულია თემათა მრავალფეროვნება და დინამიკურ ქარგაზე აგებული სხარტი, დასამახსოვრებელი სიუჟეტები, ფართო საზოგადოებისა და ლიტერატურული კრიტიკისათვის თითქმის შეუმჩნეველი დარჩა. მიზეზი არის ის, რომ ავტორმა ზნეობრივ პრინციპებიდან გამომდინარე არჩია ჩრდილში დგომა და უხმაურო მსახურება ქართული სიტყვისა.

ნუკრი ნიკოლაიშვილის ნაწერებს მომავალშიც სიამოვნებით წაიკითხავს გემოვნებიანი მკითხველი.

მტკივნეული არის, დროსთან მართალი, ამ ღირსეული პიროვნების წასვლა პროფესიული და შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში.

დავით შემოქმედელი,
სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი.
ქართული კულტურის დესპანი,
დავით აღმაშენებლისა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი.

შენ წყენას წყალზე წერდი, ხოლო სუფთა ფურცელზე სუფთა გულიდან დაძრული სტრიქონები გადაგქონდა!

შენ იცი, როგორ მიყვარდა შენს შემოქმედებასთან სიახლოვე. რამდენჯერ მითქვამს, რომ სტატიას, რომელსაც გვერდს ვუთმობდი, შენ რამდენიმე სტრიქონით, ლაკონიურად და მრავლისმთქმელად ამბობდი.

ურთიერთობაშიც საოცრად მოკრძალებული იყავი. არ გწყინდა რაიმე? რა თქმა უნდა, წყენაც და ტკივილიც ახლდა ყოველდღიურ შრომას, მაგრამ შენ თითქოს წმიდა ისიდორეს შეგონებით ცხოვრობდი „წყენა წყალზე დაწერე“.

ნუკრი, შენ წყენას წყალზე წერდი, ხოლო სუფთა ფურცელზე სუფთა გულიდან დაძრული სტრიქონები გადაგქონდა!

გიყვარდა წერა, გიყვარდა წიგნი. ამიტომ მოგერგო ეს სიბრძნეც: „წიგნის მოყვარული ადამიანი ზიანს არასოდეს მოგაყენებს.“

შენ სიკეთით იყავი სავსე. იყავი ჩემი, მოკრძალებული. შენი შემოხედვა დასტური იყო იმისა, რომ თბილ, მოსიყვარულე ოჯახში გაიზარდე.

წადი და საფიცარ ცოლშვილთან მაინც სამუდამოდ დარჩი!

წადი და გუშინდელობა საცარი განცდით გამახსენე!

შენ ხომ ნუკრი იყავი, ნუკრი ნიკოლაიშვილი – გულწრფელი მეგობარი, მართალი პიროვნება და ასეთივე მართალი ჟურნალისტი!

შენ ჩემთვის კარგი ნუკრი იყავი და...

შენ ჩემი ასეთივედ დარჩები, ნუკრი ნიკოლაიშვილი!

ღმერთს შენს სულს ვავედრებ!.

ღმერთო ნათელში ამყოფე ჩემი უმცროსი მეგობარი და კოლეგა ნუკრი!

ეთერ ქადეიშვილი.

ნუკრი ჩვენს რიგებში იყო და...

ქვეყანამ კიდევ ერთი სიცოცხლე მოისაკლისა. წუთისოფელში აღარ გვყავს ნიჭიერი ჟურნალისტი, ქართველობაზე გულაღტკინებსიახლოვე, აზრთა თანხვედრა, ცნობილი ადამიანებთან ურთიერთობის მოგონება მაკავშირებდა. რიგ ფაქტორებს ისიც ამყარებდა, რომ ორივეს რედაქციაში ერთი საერთო მეგობარი ავთანდილ ვადაჭკორია გვყავდა.

ჟურნალისტური საქმიანობის დაძაბული დღის მიწურულს ხშირად ბათუმის კაფეებში შევივლიდით, „სტეკლიაშკა“ იყო ყელის გასასველებელი და დარდების გამქარვებელი. ნუგზარ ჯაფარიძე, სერგო კაკაურიძე, ჩვენი „დორკა“(ნოდარ დოლიძე), არჩილ ტოტოჩავა, გივი თურმანიძე საერთო ატმოსფეროს ქმნიდნენ. სასიხარულო და საამაყო იყო, რომ ნუკრი თავისი განსწავლულობით, მოვლენების არსში წვდომით ცხოვრებაგამოვლილ ადამიანებს არ ჩამოუვარდებოდა. მას ქართულ სიტყვასთან „პაექრობის“ საოცარი უნარი ჰქონდა, დიდად საკუთარი თავის წარმოჩენა არ უყვარდა, თუმცა მისი აზრი, ხედვა, პოზიციას რომ გაიმყარებდა, თავისებურად გაიღიმებდა.

იმ წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობაზე კენჭს მიხეილ ქურდიანიც იყრიდა. ზოგიერთებს მიხეილის დიდქართველობა კიდეც არ მოსწონდათ. მიხეილი გამორჩულად აჭარის მთიანეთს დაუკავშირდა. საღვთო დღესასწაულის „დიდაჭარობის“პირველი ზეიმის მონაწილე იყო და თავისი გამოსვლით რიგ გაუგებრობას წერტილი დაუსვა. იმ დღიდან მასთან ჭეშმარიტი ურთიერთობები ჩამოყალიბდა. ჩემი და მიხეილის ურთიერთობების შესახებ ნუკრიმ საგაზეთო წერილებით გაიგო. არც ის საღამო მავიწყდება, როცა სუფრასთან სამნი ვიყავით და თბილი, გულგახსნილი მუსაიფით დროს ხარკი ავიღეთ. მიხეილს იმ დღიდან ერთი წელიც არ უცოცხლია. ნუკრის ისიც მოვუყევი, თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ იუსუფელში მიხეილს როგორი მოკრძალებით იხსენებდნენ.

ყველა შეწუხებული და გულდაწყვეტილი ვიყავით, როცა ნუკრიმ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო , გაზეთ „აჭარის“ რედაქციაში მუშაობა მიატოვა. მეგობარი, კოლეგა ყურადღების მიღმა არ დაგვიტოვებია. ახლანდელი რედაქტორის მარინა მითაიშვილთან ერთად სოფელ ბახვში, მშობლიურ ეზო-კარში ვესტუმრეთ.

–იმედი არ კვდებაო, –გვითხრა ჭიშკარს გადაღმა გადმოსულებს.

–შენი სამუშაო მაგიდა და სათაყვანებელი კოლექტივი გელოდებითო, –დავამშვიდეთ წვიმიან ამინდში მდგარი ნუკრი. მართლაც, მის სიცოცხლეში მაგიდას არავინ მიკარებია.

ზამთრის ბოლო თვის მიწურულს გაზეთ „აჭარის“ რედაქციის კოლექტივმა ჩვენს ნუკრის უკანასკნელი პატივი მივაგეთ. ნუკრი ჩვენს რიგებში იყო და აღარ არის.

სულ მალე გაზეთ „აჭარის“ დაარსების 100 წლის იუბილეს აღვნიშნავთ . იმ დღეებში ერთხელ კიდევ პატივს მივაგებთ მათ ხსოვნას, ვინც ამ გაზეთის მკითხველებს საკუთარი ნიჭისა და უნარის წყალ-ობით საინტერესო და შინაარსიანი პუბლიკაციებით ასაზროებდა. მათ რიგებში ნუკრი ნიკოლაიშვილიც იქნება.

ოთარ ცინარიძე,
საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, გაზეთ „აჭარის“ ჟურნალისტი, „საპატიო შუახეველი,“ „საპატიო ქედელი,“ „საპატიო ხულოელი.“

იუბილე

ილია ინწკირველის გრანდიოზული საღამო ოზურგეთში

იუბილე კაცისა, რომლის სიყვარულით კოღოს ვერ კლავენ სახლში

თემურ მარშანიშვილი

თებერვალი მხოლოდ იმისთვის არ არის კარგი და განსხვავებული თვე, რომ ხეში წყალი ამოძრავდება და ჩიტი ჩიორა საძირკველს გაიდგამს, არამედ იმისთვისაც, რომ არიან ადამიანები, ვისაც ძალუძთ ზამთრისა და გაზაფხულის ამ გზასაყარზე სიყვარულით ნასაზრდოები სითბო ჩაგიღვარონ სულში. არ ვიცი, რამდენად გამომდგარია, მაგრამ ამ ფრაზით უნდა დავიწყო წერილი იმ დაუვიწყარი ღონისძიების შესახებ, რომელსაც „სიმღერისთვის მიძღვნილი საუკუნის ნახევარი“ ერქვა, რომლითაც, 21 თებერვალს, ოზურგეთის ფოლკლორის სახლში, ცნობილი მომღერლის, ოზურგეთის სახალხო-ფოლკლორული ანსამბლ "შვიდკაცას" მესამე თაობის წარმომადგენლის, ერთ-ერთ გამორჩეული სოლისტის, ქართული ფოლკლორის მოამაგის ილია ინწკირველის დაბადებიდან 75 და სცენაზე მოღვაწეობის 50 წელი აღნიშნა მადლიერმა ქართულმა საზოგადოებამ.

თუ ინფორმაციის გადამღერებად არ ჩამეთვლება, გეტყვით, რომ საიუბილეო საღამომ, რომელსაც ჟურნალისტი ნინო სალუქვაძე უძღვებოდა, როგორც მოსალოდნელი იყო, მაჟორში, დიდებულად ჩაიარა.

საიუბილეო საღამოს ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, მომღერლის კოლეგები, მეგობრები, სტუმრები თბილისიდან, რუსთავიდან, ბათუმიდან, შორეული ციმბირიდანაც კი (ბატონი ილიას ქალიშვილი და შვილიშვილი). საიუბილეო საღამოზე მაყურებელთა წინაშე წარდგნენ ანსამბლები: „ქართული ხმები“, „ბათუმი“ , გოგონათა გუნდი „რეხეული“ და ოზურგეთის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სალოტბარო სკოლის აღსაზრდელები. ანსამბლ „შვიდკაცას“ წევრებმა უძველესი ქართული ხალხური სიმღერები შეასრულეს და სცენაზე გააცოცხლეს იუბილართან დაკავშირებული სხვადასხვა მოგონება.

იუბილარს მიესალმნენ: გურიის გუბერნატორის მოადგილე გია ებრალიძე, ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია, ოზურგეთის მერი კონსტანტინე შარაშენიძე, ანსამბლ ქართული ხმების“ წევრი, პარლამენტარი თემურ ჭკუასელი, ანსამბლ „ერისიონის“ ხელმძღვანელი ჯემალ ჭკუასელი, ოზურგეთის მერიის კულტურის სამსახურის უფროსი მარინა ჯაფარიძე, მუნიციპალიტეტის კულტურისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორის მოადგილე კობა ბანძელაძე, ანსამბლ შვიდკაცას“ ხელმძღვანელი, ლოტბარი, ხელოვნების ქურუმი ტრისტან სიხარულიძე და სხვები.

ღონისძიების ექსპოზიციაშივე, დამსწრე საზოგადოების წინაშე, ზაურ ბოლქვაძის სიმღერის ფონზე, მრავლისმთქმელი სამადლობელი სიტყვით, მოგონებებითა და ჩვეული იუმორით წარსდგა თვით იუბილარი.

ილია ინწკირველი: „ახლა ვისი ხმაც ისმის, იმ კაცმა მაზიარა მე ხელოვნებას. 1967 წლის დასასრულს შევხვდით ერთ პატარა რესტორანში, წავიღიღინეთ ცოტა და ეგრევე მითხრა, ორშაბათს მოხვალ რეპეტიციაზეო. მაშინდელ ჩაის ტექნიკუმის შენობაში (ამჟამინდელ კოლეჯში) ატარებდა რეპეტიციებს. სულ 25 წლის ბიჭი ვარ, სატრაბახოდ არ მინდა გამომივიდეს, მარა კარგად ვმღეროდი, კაი ხმა მქონდა, წავიდა აქედან შეხვედრები, კონცერტები, მოგზაურობები. ბატონმა ზაურმა გამიწია რეკომენდაცია ბატონ მიხეილ შავიშვილთან, სადაც თვითონაც მღეროდა პარალელურად. 1972 წელს, ჩვენმა ანსამბლმა„ნაკადულმა“ გაიმარჯვა რესპუბლიკურ კონკურსში „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“. გაგრძელდა ასე და მერე იყო და არის „შვიდკაცა“. ჩემთვის ძალიან დიდი პატივი იყო მიხეილ შავიშვილთან დაჯდომა და გადმოცემის მოსმენა. ახლა მე ვინ ვარ და ჩემზე ბევრად წარმატებული ხელოვანი ხალხი აფასებდა ამ უდიდეს, ბუმბერაზ პიროვნებას. ძალიან საამაყოა ჩემთვის მასთან და ანსამბლ „შვიდკაცასთან“ გატარებული წლები.

აქვე მინდა, პატივი მივაგო იმ დიდებულ ხალხს, ვის ხსოვნასაც რამდენიმე წუთის წინ მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგომითა და წუთიერი დუმილით შეხვდა. ჩემთვის ეს დიდი ტკივილია, ამ ხალხთან გავატარე მთელი შეგნებული ცხოვრება. მერე აი, აქ ვინც ბრძანდებით, თქვენთან განვაგრძობ ცხოვრებას, მიხარია თქვენთან, მიხარია „შვიდკაცა“, მიხარია ყველა ხელოვანი. ბატონი ანზორ ერქომაიშვილი. მე ახლა სცენაზე ვარ და ტელეფონი გამორთული მაქვს, სხვანაირად არ გამოდის. ვიცოდი, რომ დარეკავდა და მაინც. ჩემი მისამართით ნათქვამ მის სიტყვებს ვიმეორებ: ძმაკაციაო ჩემი, ჰოდა, მგონი, ამ სიტყვებს ყველაზე არ ხარჯავს ბატონი ანზორი.

ახლა პატარა იუმორიც: ჩვენთვის, გურულებისთვის და დარბაზში მსხდომთათვის საამაყოა თამაზაშვილების ოჯახი ქობულეთიდან. ჩემი გურამიკო, ჩემი ჯემალი აქ არის დარბაზში და ვეხუტები მას. პურისჭამა და ქეიფი ხშირად გვქონია და გვექნება. ერთ-ერთი ასეთი ქეიფი გვაქვს ფაცხებში, ეზოში რომ ფაცხები ჰქონდათ, კარგად გახსოვთ ალბათ. რაღაც კერძი შემოიტანა რეხინე ნენემ, გურამი ეუბნება, ნენე, რა კაი დროს მოხვედი, ზუსტად ილოს სადღეგრძელო იყოო. უნდა გითხრათ, რომ მანამდე ერთმა კაი კაცმა, გივი კომახიამ, აცხონოს უფალმა, „კოღო“ შემარქვა ზედმეტსახელად. ქალბატონმა რეხინემ რომ დადო ეს კერძი, სავსე ფიალა მიაწოდა გურამმა, დალოცე, ნენეო. მან კი ასე დამლოცა: რა გითხრა, შვილო, შენი სიყვარულით კოღოს ვერ ვკლავ სახლშიო.

მინდა ჩაგეხუტოთ ყველას და დიდი მადლობა გითხრათ დღევანდელი დღისთვის.

ჩემო მეგობრებო, შეიძლება ყველამ არ იცოდეს ,მაგრამ მე მყავს სამი შვილი და სამი შვილიშვილი, უფროსი ქალიშვილი ლალი ინწკირველი, რომელიც ძალიან -შორს ცხოვრობს, თავის შვილთან ერთად, მეწვია ამ საღამოზე. მადლობა მასაც ამ სიურპრიზისათვის“.

ავთანდილ სურგულაძე: „მე მინდა, ილია ინწკირველს მივესალმო და მივულოცო ძალიან შესა-ნიშნავი და აღსანიშნავი თარიღი. 75 წელი და აქედან 55 წელი სცენაზე იდგე, დიდი დამსახურებაა, ჩემო ილო. გისურვებ დიდხანს სიცოცხლეს, ბედნიერებას, შენ ხარ კარგი ოჯახის თავკაცი, შვილებისთვის კარგი მამა ,შვილიშვილებს გადაყოლილი ბაბუა, მეგობრებში იუმორით ცნობილი და რა ვიცი...

ილოს საღამო იუმორის გარეშე არ გამოვა, ამიტომ ორი სამი წუთი უნდა დამითმოთ როცა ახალგაზრდა იყო ჩვენი ილია, ჩიტი უფრინავდა გულში და მაგისთვის არ ეცალა, როცა ასაკში შევიდა თავისი გვარის წარმომავლობით დაინტერესდა. დაადგინეს, რომ ინწკირველები წამოსული არიან ზემო აჭარიდან, შეიკრიბა დელეგაცია, შემადგენლობა აგერ ზის: ბატონი ოთარ ინწკირველი, ჩემი მეგობარი ანზორ ინწკირველი, ეზეკი ინწკირველი და თვით იუბილარი, ილო ინწირველი. ამ ოთხეულმა კომუნიკაცია დაამყარა ადგილის დედასთან - სოფელ ინწკირვეთთან. არ იცოდნენ, როგორ დახვდებოდნენ და რაღაც წაიღეს მაინც, ყოველი შემთხვევისთვის. აღმოჩნდა ისე, ამ ოთხიდან სამი ვერ სვამს ჯანმრთელობის გამო და მთელი დაწოლა არის ბატონ ილიაზე, ილია არის გამწევი ძალა, ილიამ უნდა გააკეთოს იქ ყველაფერი. ავიდნენ ინწკირვეთში, დარეკა იქედან ჩვენმა ილომ, აღფრთოვანებული იყო, ისეთი შეხვედრა მოგვიწყვეს და სუფრა დაგვახვედრესო. ილო მაგრად დათვრა, საფლავებიც მოინახულეს და დადგა ჟამი წამოსვლის, მოეძალა ემოციები, ცრემლები სდის ღვარად. გზა არის, სოფელია, მტვერია, დაიჩოქა და დაუწყო მშობლიურ მიწას კოცნა, ძლივს ააყენეს, ცრემლიანი მიწით მოთხუპნული აქვს სახე. ჩასვეს მანქანაში, ჩამოვარდა სიჩუმე, გადის ცოტა ხანი და ოთარი ეუბნება, ილოია, ბიჯო, ქუსლზე ნალი ამძრობია და ნახე ერთი ხომ არ შეგყვა პირშიო“.

თემურ დოლიძე, ვაჟთა ვოკალური ანსამბლ „ბათუმი“ ხელმძღვანელი: „ილო არის ჩემთვის ყოველთვის გამორჩეული ხმა, კარგი ბანი აქვს, უსაშველოდ კომუნიკაბელური, მეგობრობით

სავსე, კაცი, რომელიც ამშვენებს ოზურგეთს, ოზურგეთელებს და ამშვენებს ყოველ ჩვენგანს, ყოველ ჩვენგანში მე ვგულისხმობ ხელოვან ხალხს. ბატონ ილიას დიდი მადლობა იმისთვის, რაც მან გააკეთა თავისი ნაყოფიერი შემოქმედების მანძი-ლზე, იმისთვისაც, ამ დარბაზში ასეთი ძვირფასი და ლამაზი სახეები რომ შეგვახვედრა ერთმანეთს, ჩემთვის მონატრებული ადამიანები, რომელთა შემოქმედებაზე გავიზარდე, დიდი მადლობა თქვენ, დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ. ჩვენ არაერთხელ დაგვამშვენეთ თქვენი სიმღერით ჩვენს საიუბილეო საღამოებზე და არა მარტო ჩვენ, გეფერებით თქვენ და თქვენს ირგვლივ მყოფ ყველა ადამიანს. იხარეთ, იბედნიერეთ, ძალიან დიდხანს მინდა რომ იყოთ, თქვენი ოზურგეთის, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკე-თილდღეოდ“.

ტრისტან სიხარულიძე: „რაც შეეხება ჩემი და ანსამბლ „შვიდკაცას“ წევრის, ჩემი უმცროსი მეგობრის, ილია ინწკირველი ურთიერთობას, ძალიან დიდი სიყვარულით მოვდივართ უკვე რამდენი წელია. მე ცოტა ადრე მოვედი, ილო - ორი სამი წლის მერე. მას შემდეგ ჩვენ ხშირად უცხოეთშიც ვყოფივართ ერთად, სულ ერთად ვიყავით, ლუკმასაც ვუყოფდით ერთმანეთს, ასეთი სიყვარულით მოვდივართ, თანაც ოჯახებითაც ვართ დაახლოებულები ერთმანეთთან.

ჩემო ილო, ბევრი გაქვს კიდევ გასაკეთებელი. რაც გააკეთე, არ არის საკმარისი, ასე რომ, ღმერთმა ინებოს, ხელიხელჩაჭიდებულებმა ვიაროთ ამ ბიჭებთან ერთად რაც შეიძლება გონივრულად, რაც შეიძლება სიყვარულით და კაციშვილი ხმას ვერ გაგვცემს“.

თემურ ჭკუასელი: „გზის გამკვლევი ჩემი ილიასთვის ზაურ ბოლქვაძე ყოფილა, ზაური კი შეუცდომელი კაცი და პიროვნება გახლდათ. ილომ წელან თვითონ ახსენა თავისი ზედმეტსახელი, „კოღო“ მქვიაო. ვიჯექი აგერ ჩემთვის და ვფიქრობდი, რატომ დაარქვეს ამ კაცს კოღო? ყბასთან დაკავშირებით ალბათ არა, იმიტომ ,რომ ჩემ მტერს კოღოს რომ ამხელა ყბა ჰქონდეს. როგორ ხუმრობს! ერთხელ გახურებული ზამთარია და დამირეკა ტელეფონზე, ილია ვარ, ინწკიველიო. მე ვუთხარი, „კოღო“ მომისმინე, შენი სეზონი არ არის ახლა, გაზაფხულზე დამირეკე-მეთქი.

მოკლედ ჩემო „კოღო“, „ქართული ხმების“ სახელით გილოცავ, ჩემო ძამიკო, იუბილეს. მეც 75 წლის ვარ, ისე შენ უკეთ გამოიყურები. დღეგრძელი იყავი!“

არანაკლები თბილი ადრესები მიუძღვნეს იუბილარს სხვა გამომსვლელებმაც. უბრალოდ, საგაზეთო ფორმატი არ გვაძლევს მათი გამოქვეყნების შესაძლებლობას. ამდენად, ეს წერილი ვერ იქნება ამ დაუვიწყარი, დიდებული საღამოს სრულყოფილად აღმწერი და შემფასებელი. იმის თქმა ნამდვილად შეგვიძლია, რომ „სიმღერისთვის მიძღვნილი საუკუნის ნახევარი“ გამორჩეულ ადგილს დაიჭერს ოზურგეთის ფოლკლორის სახლის ისტორიაში.

ღონისძიება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის, კულტურისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის, ასევე ოზურგეთის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა, სპონსორი - კომპანია „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ დამფუძნებელი, ბატონი ზურაბ ჩხაიძე.

ფოლკლორის ცენტრში პოეტ მარიამ ბაქანიძესთან შეხვედრა გაიმართა

პოეტმა საღამოზე თავისი ლექსები წაიკითხა, საღამო გურული იუმორით იყო გაჯერებული, მარიამმა ლექსებთან ერთად, პროზაული ჩანაწერებიც შესთავაზა მაყურებელს. მარიამის ლექსებში პატრიოტული ლირიკა სჭარბობს, თავის მხარეზე უზომოდ შეყვარებული პოეტის შემოქმედებაში ხშირად გურიის მიმართ განსაკუთრებული სიყვარული იგრძნობა. მის შემოქმედებაში უხვადაა გურულ დიალექტზე დაწერილი ლექსები, რაც განსაკუთრებულად სასიამოვნო ჟღერადობით გამოირჩევა. მარიამის შეხვედრა პირველი გახლდათ მის მშობლიურ გურიაში.

ოზურგეთელი პოეტი ამჟამად დედაქალაქში ცხოვრობს.

ბაქოდან ერთი პირველი და ერთი მესამე ადგილი!

21 - 23 თებერვალს ბაქოში საერთაშორისო ტურნირი კიოკუშინკარატეში ჩატარდა. ასპარეზობაში არაერთი ქვეყანა – აზერბაიჯანი, საქართველო, ირანი, ბელორუსია, თურქეთი და უკრაინა იღებდა მონაწილეობას.

შეჯიბრზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ - გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებულმა ტაეკვანდოს სექციის სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზეს.

ანრი რომანაძემ 18 წლამდელთა შორის (75 კგ. წონითი კატეგორია) პირველი ადგილი დაიკავა.

გიორგი ბერაძე კი 18 წლამდელთა შორის (80კგ. წონითი კატეგორია) მესამე ადგილზე გავიდა.

საერთო ჯამში კი საქართველოს ნაკრებმა , გუნდური მესამე ადგილი დაიკავა.

ტურნირის დასასრულს მწვრთნელს, **ირაკლი ტულუშს** საპატიო თასი და მედალი გადაეცა.

ერთი ოქრო და ერთი ბრინჯაო მძლეოსნობაში!

22 თებერვალს თბილისში მძლეოსნობის სასახლემ საქართველოს ღია, ახალგაზრდულ ჩემპიონატს (2004 - 2006 წწ. დაბადებულთა შორის) მძლეოსნობაში უმასპინძლა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ - გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებულმა მძლეოსანთა ნაკრებმა გუნდმა შეჯიბრზე წარმატებით იასპარეზა.

პირველი ადგილი და ჩემპიონის ტიტული ბადროს ტყორცნაში **ქეთი მამალაძემ** აიღო, ხოლო მესამე ადგილსა და ბრინჯაოს მედალს, 3000 მ.ეტრზე რბენაში **ნიკა თორდია** დაეუფლა.

ჩემპიონატზე კარგად იასპარზეს, მაგრამ საპრიზო ადგილების გარეშე დარჩნენ : ანანო ცინცაძე(ბირთვის კვრა), თამუნა მახარაძე (ბადროს ტყორცნა), მერაბ მახარაძე (800 მ. რბენა), ლაშა ტუღუში (60მ. რბენა)

გუნდი შეჯიბრისთვის **მარინა კოტრიკაძემ** მოამზადა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2021 წ. ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე, 18 წლამდელთა შორის 2004 - 2006 წწ. დაბადებული სპორტსმენები იასპარეზებენ.

ხსენებული სპორტული ღონისძიება კი დიდი სტიმულია, იმისა, რომ ოზურგეთელი სპორტსმენები ორმაგი დატვირთვითა და დიდი შემართებით მოემზადონ და საუკეთესოდ იასპარეზონ პრესტიჟულ ჩემოიონატზე.

სკანვორდი





პასუხები:

ქუთაისელი — ბგდათელი; ოქროს ფეხსაცმელი; ფოთლიანი — ბალიში; ბალიშიანი — ბალიში; ბალიშიანი — ბალიში; ბალიშ

გურულ მოჯირითეთა უცნობი დეტალები

ივანე როსტომის ძე მახარაძე - „მათრახა“

თეთრ ჩოხაში ივანე მახარაძე,პირველ რიგში პავლე მახარაძე, ლუკა ჩხარტიშვილი,, ს. დგებუაძე, ქიშვარდი მახახარაძე, გიორგი კალანდარიშვილი,დგანან ყარამან კალანდარიშვილი, ივანე (პატარა) მახარაძე და იოსეგ ტალახაძე აშშ, 1893 წელი.

გურულ მოჯირითეთაგან უპირველესი, ვინც ფეხი დაადგა ამერიკის მიწას, იყო ივანე მახარაძე. მისი შვილიშვილის ნელი მახარაძის გადმოცემით, ივანეს მამა როსტომი, ოზურგეთის მაზრის სოფელ ქვედა ბახვში ცხოვრობდა . ჰყავდა ოთხი ვაჟი: სილიბისტრო, ალექსანდრე, პავლე და ივანე (მეტსახელად „მათრახა“).მათი სახლობა ბახვის წყლის პირას დაბლობში იყო. მამას ისინი ზეგანზე აუყვანია და ცალ-ცალკე დაუსახლებია. ამ ზეგანს ქვედა ბახვში დღესაც მახარაძეების გორას ეძახიან.

ქვედა ბახველი მახარაძეები განთქმული ბაზიერები და კარგი მოჯირითეები ყოფილან, როსტომსაც ჰყვარებია ხალხური სიმღერები ,გაწრთვნილი მიმინოებით ნადირობა და ჯირითი, განსაკუთრებით ლელობურთით თამაში. ივანე, პავლე და სილიბისტრო მოჯირითეები გახდნენ. ალექსანდრე კი განთქმული მომღერალი იყო.

ერთ დღეს, 14 წლის ივანე მამამ ბახმაროში, მყოფ ნათესავებთან გაგზავნა, თავლიდან საყვარელი ცხენი გამოუყვანა და ზედ შესვა. ივანეს ცხენისთვის მათრახი გადაუკრავს და ჭენებით წაუყვანია ბაისურამდე (ადგილი ბახმაროს გზაზე). იქ წყლის დასალევად ჩამომხტარა ,უყურადღებოდ დატოვებული ცხენი კი ცივ წყაროს დასწა-ფებია და მომკვდარა.ივანეს ცხენისათვის მოუხსნია უნაგირი ზურგზე მოუკიდია და შინ დაბრუნებულა.როსტომი განრისხებულა, გაოფლიანებულ ცხენს წყალი, როგორ დაალევინეო და ივანესთვის ხელი გაურტყამს.ე ეს შეურაცყოფად მოელია ივანეს, შინიდან გაქცეულა და ბათუმში ჩასულა .ეს მოხდა დაახლოებით 1880 წელს. მაშინ ბათუმი გამოცხადებული იყო უცხოური საქონლის უბაჟო შეტანა-გამოტანის უფლების მქონე ნავსადგურად ანუ პორტო-ფრანკოდ .ნავსადგურში, რამდენიმე დღის ხეტიალის შემდეგ იგი გაეცნო ორ რაჭველ მოგზაურს, რომლებიც ერთ-ერთ გემზე ცეცხლფარეშებად მუშაობდნენ. რაჭველებს ბიჭი გემის კაპიტანთან მიუყვანიათ, რომელსაც მოსწონებია,ტან მორჩილი,მაგრამ მკვირცხლი ბიჭი და ცეცხლფარეშად აუყვანია. მეორე დღეს გემი ნავსადგურიდან გასულა და დაახლოებით 50 დღის შემდეგ ნიუ-იორკში ჩასულა. გემზე შრომით განაწამებ ივანეს უარი განუცხადებია ცეც-ხლფარეშობაზე და ვიღაც რაჭველ ხაბაზთან მოწყობილა.აქაც მძიმე ფიზიკური შრომა უწევდა, როგოც კი ცოტაოდენი ინგლისური შეისწავლა, ხაბაზს გაექცა და ნიუ-იორკის ცირკში მო-ეწყო დამლაგებლად.

ბავშვობაში ცხენოსნობით გატაცებულმა ივანემ მალე მიიპყრო არაბი მოჯირითის ყურადღება. მან ივანე აიყვანა თავისი ცხენის მომვლელად. ის კაპიკს კაპიკზე ადებდა და როცა საკმაო თანხას მოუყარა თავი. არაბული ცხენი იყიდა . მოჯირითე არაბმა კი თავის ატრაქციონში ერთი ნომერი დაუთმო.

ქართულ ჩოხაში გამოწყობილი ივანე გაჭენებული ცხენიდან მანეჟში გადაგდებულ მონეტებს იღებდა.მაყურებელს მოსწონდა ახალგაზრდა ულვაშიანი ბიჭის გამოსვლა ცირკში და აპოლოდისმენტებს არ იშურებდა.

არაბმა ივანეს გაუზარდა ხელფასი, რამაც მას,მეორე ცხენის ყიდვა შეაძლებინა. ამის შემდეგ ივანემ დატოვა არაბების შოუ .შექმნა თავისი ცირკი და მეტი ფული დააგროვა. წერილი გამოუგზავნა მშობლებს და აცნობა თუ სად იმყოფებოდა.

ივანე 1885 წელს დაბრუნდა მამისეულ სახლში, რომელიც დაშალა და მის ადგილზე ამერიკულ ყაიდაზე რვა ოთახიანი სახლი ააშენა .1886 წელს დაქორწინდა ნინო კალანდარიშვილზე.

ქართველების ქრონიკა უაილდ უესთის შოუში დღემდე განმტკიცებული იყო პროფესორ ამირან ცამციშვილის მიერ, რომელმაც უკანასკნელი მოჯირითე, 1958 წელს ნახა უკვე ასაკოვანი ხალხი, რომელთაც არასწორად ახსოვდათ საზღვარგარეთ პირველად გასვლის თარიღი ასახელებდნენ 1887 წელს როგორც გამორკვა გურულ მოჯირითეთა მსოფლიო ასპარეზზე გასვლის თარიღი დაკავშირებულია კირილე ვჯორბენაძის სახელთან.მისი უშუალო მონაწილეობით ხდებოდა მოჯირითეთა შერჩევა, რეკომენდაციების მიცემა და საზღვარეთ გამგზავრება.ყველაფერი შემდეგნაირად დაიწყო: მოჯირითეების შესარჩევად ბათუმში ჩამოვიდა ამერიკული ცირკის წარმომადგენელი თომას ოლივერი(1867-1943).იგი ამერიკის კონსულთან ვკემს ჩემბერსთან დაბინავდა. კონსულთან იმ ხანად მოიჯამაგირედ მუშაობდა ზემო ჩიბათელი კირილე ვჯორბენაძე. კირილემ როცა გაიგო საქმის ვითარება, ოლივერს უთხრა, რომ იგი აქვე ახლოს ცხენოსნობის შეგროვებაში დაეხმარებოდა

თანხმობა, რომ მიიღო, ოლივერთან და ჰარი ბრიგსთან ერთად ლანჩხუთს მიაშურა . გზაზე სიფელ ბახვში მთელ გურიაში ცხენოსნობაში განთქმულ ივანე როსტომის-ძე მახარაძის ოჯახში შეიარეს. გადაწყდა, რომ ივანე გუნდს შეერავდა: თავად ივანე ანუ „მათრახა“, ძმები პავლე და სილიბისტრო, ბიძაშვილები ქიშვარდი და ივანე მალაქიას ძე მახარაძე ანუ „ჩოხაგრძელა“,ივანეს ცოლისძმები ყარამან და გიორგი კალანდარიშვილები,ლანჩხუთიდან შეუერთდნენ ლუკა ჩხარტიშვილი და ფოლტა ცინცაძე, ეს იყო პირველი ჯგუფი და პირველი ლიდერი-„პრინცი“ იყო ივანე მახარაძე (ასე ეძახდნენ ამერიკაში).

ბოლო დრომდე გურულ მოჯირითეთა საზღვარგარეთ გამგზავრების თარიღად მიჩნეული იყო 1887 წელი, მაგრამ ვერც აქ და ვერც უცხოეთის არქივებში ეს თარიღი დოკუმენტურად არ დადასტურდა.

პირველი ჯგუფი ინგლისში გავიდა 1892 წელს პირველი საგაზეთო ცნობა კაზაკების შესახებ 1892 წლის 8 მაისს „ **Weekly Dispatch**”-ში , მას ეხმიანება „ივერიაში“(127 ,18-92 წელი, 19 ივლისი) გამოქვეყნებული პატარა ცნობა: „ბათუმი,აი სახელი და გვარი იმ ქართველებისა ,რომლებიც ამასწინათ წაიყვანა აქედან ერთმა პარიჟის თეატრის აგენტმა ლონდონში, ბარნუმის ცირკისათვის: ივანე მახარაძე, დიმიტრი მგალობლიშვილი, ვასო ჭყონია, დათა ჭყონია ,ლევანტო ჯორბენაძე, ლუკა ჩხარტ-იშვილი,მოსე გიგინეიშვილი,ირაკლი ჭყონია, ბესარიონ ცინცაძე, მელიტონ ცინცაძე , სულ ათი კაცი“.

სახელგანთქმული ბაფალო ბილის უაილდ ვესთის შოუს გენერალურმა მენეჯერმა ნეით სოლსბერიმ გაზეთ „**The Oracle**-“ს(1892 წელი,28 მაისი) განუცხადა: „დიახ ისინი ჩამოვიდნენ, წუხელ, დამ...ტბილისიდან, რომელიც მდებარეობს კავკასიონის მთებთან“.

სერ ჯეი ბლექსთოუნის წიგნში“ უცკსკინს, ბალელლეტს ანდ ბუსინესს, **a histori of buffalo bills wild West**” წერ-და: „რუსი კაზაკები პირველად ბაფალო ბილის უაილდ უესთ შოუს შეუერთდნენ ლონდონში ,1892 წელსჯგუფი შედგებოდა 18 დან 25 წლის ათი კაცისაგან.

მანანა ლომაძე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სულთათანა

„მე მომღერალი არ ვარ, უბრალოდ, ამ სიმღერების მადლით გავიზარდე“

ეს სიტყვები ოზურგეთის კოლორიტს, ცნობილ ენერგეტიკოსს გურამ ბურჭულაძეს ეკუთვნის.

იგი 29 თებერვალს 22-ედ იზეიმებდა დაბადების დღეს და 88 წლის შესრულდებოდა.

–მე მომღერალი არ ვარ, უბრალოდ, ამ სიმღერების მადლით გავიზარდე, რომელსაც მამა და მისი მეგობრები ასრულებდნენ. ჩვენთან ხშირად სტუმრობდა ვარლამ სიმონიშვილი. გომში ოთხი მომღერალი ოჯახი ცხოვრობდა: ბურჭულაძეები, მახარაძეები, გოლიაძეები, კვარაცხელიები. ბავშვობიდან ვხედავდი, მათი ურთიერთობა როგორი ზრდილობიანი და კულტურული იყო.

მამა ვარლამმა 1930 წელს თავის გუნდში მიიწვია. გუნდი კონცერტებს ატარდებდა საქართველოს სხვადასვა ქალაქში, იყვნენ მოსკოვშიც“-უამბო გაზეთ „ალიონს“ 10-12 წლის წინ გურამ ბურჭულაძემ.

1934 წელს გომში ცნობილი მთამსვლელი ალიოშა ჯაფარიძე ჩამოსულა, რომელსაც მეგზურობას გურამის მამა იოსები უწევდა. ალიოშას მდინარე ბჟუჟის სათავე და ხეობა დაუთვალიერებია და უთქვამს: –„აქ ელექტროსადგურის აშენება შეიძლებაო“.რამდენიმე ხნის შემდეგ გომში ჩამოვიდნენ და ელექტროსადგურის მშენებლობაც დაწყებულა.

–პატარა ვიყავი, მაგრამ კარგად მახსოვს, რომ ჩამოსული სპეციალისტები ჩემს სახლში იყვნენ, ჩვენს სახლში ხდებოდა ნახაზების განხილვა, დგებოდა გეგმები –იგონებდა გურამ ბურჭულაძე.

გავიდა წლები და იგი ელექტროინჟინერი გახდა. ბჟუჟჰესზე დაიწყო მუშაობა ელექტროინჟინრად, დაქორწინდა ქალბატონ ციალა ჭანუყვაძეზე. ათეული წლები მუშაობდა ბჟუჟჰესზე.

საინტერესოდ იგონებდა გოგი დოლიძის, ზაურ ბოლქვაძის სტუმრობებს. ხშირად ეფერებოდა „ჭადრების საძმოს,“რომელიც მისი საუკეთესო მეგობრებიდან შედგებოდა. მანქანაში მხოლოდ ხალხურ სიმღერებს უსმენდა. ეს მისი ცხოვრების წესი იყო. განსაკუთრებულად უყვარდა გურული ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშები.

–აი, ნახე როგორ მღერის სამუელ ჩავლეიშვილი ან ბერძენიშვილებიო –იტყოდა. ამიტომაც მის გვერდით ხშირად ვხედავდით ანსამბლ „ერისიონის“ ხელმძღვანელს ჯემალ ჭკუასელს, ანსამბლ „შვიდკაცას“ ხელმძღვანელს ტრისტან სიხარულიძეს, ამირან გოლიაძეს, ილია ინწკირველს და სხვებს.

ცნობილი თამადა იყო. იგი მსმენელს არა მარტო საუკეთესო სადღეგრძელოებით ხიბლავდა, ლექსებსაც (მათ შორის საკუთარსაც) შესანიშნავად კითხულობდა და საუკეთესოდ მღეროდა.

„წარმოუდგენელია სტუმარი მასპინძლის გარ-ეშე და მასპინძელი სტუმრის გარეშე“–იტყოდა იგი.

ასევე მისი ცნობილი სიტყვებია: „ვინც საქართველოზე პირჯვარს იწერს, იმ ხალხს გაუმარჯოს! ვაზის ძირს გაუმარჯოს!“: „კაცი რომ უღვინოდ დაწიყებს ლაპარაკს, გურიაში იტყვიან –ვინაა აგი აბდალიო. ღვინოს აქვს იმის უფლება, დალოცო და მოეფერო ხალხს!“

განსაკუთრებული იყო ორი დიდი მეგობრის, ოზურგეთის კოლორიტების გურამ ბურჭულაძის და რენო ურუშაძის ტანმდემი, მათი ომახიანი შეძახილები, დასამახსოვრებელი თამადობა.

გურამს დიდი მეგობრობა აკავშირებდა გაზეთ „ალიონის“ რედაქციასთან.

უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

„ალიონელი“ მეგობრები

გიორგი (ჟორა) მამაკაიშვილი

დიდი დანაკლისი განიცადა ოზურგეთის პედაგოგთა საზოგადოებამ. გარდაიცვალა სოფელ გომის საჯარო სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი გიორგი (ჟორა) მაკარის ძე მამაკაიშვილი. იგი დაიბადა 1933 წელს. დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუდგა 1964 წლიდან რუსული და გერმანული ენების მასწავლებლად მშობლიურ სკოლაში.

ბატონი გიორგი ათეული წლების განმავლობაში თავდაუზოგავად ემსახურებოდა თაობათა აღზრდის საქმეს. გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობით, დისციპლინით, თავისი საქმის სიყვარულით. კოლეგებს შორის სარგებლობდა ავტორიტეტით.

ბატონმა გიორგიმ წარუშლელი კვალი დატოვა როგორ სოფლის, ასევე სოფელ გომის საჯარო სკოლის ისტორიაში.

სოფელ გომის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია.

განცხადება

ანასეულში იყიდება ოროთახიანი და ერთოთახიანი ბინები გვერდიგვერდ, მეოთხე სართულზე, მეცნიერების №22-ში, მეპატრონე ერთია.

პირობების გაგება შეგიძლიათ ტელეფონით 599 41 20 38.

ძვირფასო ქალებო, თქვენს დღესასწაულებს გილოცავთ! გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს ბედნიერებას!!!

ვასო ჩიგოგიძე
ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, საკრებულოს დეპუტატი

ლავრენტი ბიგვავა
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე

გოჩა კილაძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე

ბახვა დოლიძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება მრეწველების“ თავმჯდომარე

ლევან ნინიძე
საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი
სოფ. ასკანა

პაატა კილურაძე
მაჟორიტარი
დეპუტატი სოფ. ბაილეთი

ჯემალ თავართქილაძე
მაჟორიტარი
დეპუტატი სოფ. ნაგომარი

თენგიზ ქუტიძე
ა(ა)იპ ოზურგეთის სერვისცენტრის დირექტორი

შალვა გაბრიჩიძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი

გზამშენი-18

გზას უთმობს ძვირფას მანდილოს-ნებს!



„ენერგო-პრო ჯორჯიას“ ოზურგეთის სერვისცენტრი: **დაუშრეტელი ენერგია თქვენ ძვირფასო ქალბატონებო.**

გასწორება

გაზეთ „ალიონის“ მე-8 ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „ოზურგეთის სურათების გალერეაში ზამთრის ვერნისაჟი გაიმართა“, გადმოგზავნილ ტექსტში იყო უზუსტობები:

ზამთრის ვერნისაჟი გაიმართა მეცხრედ და არა მეათედ.

საჯარო სკოლებში საუკეთესო ნამუშევრის პრიზი დაიმსახურა **გიორგი ჩხატარაშვილმა** (შემოქმედის საჯარო სკოლა); გურიის კულტურის ფონდის რჩეული კი **ლიკა ღლონტი** გახდა (ოზურგეთის სამხატვრო სკოლა).

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, ღრუბელი +3+11	მზე, ღრუბელი +6+15	მზე, +7 +19	მზე, +8 +21	ღრუბელი +9 +22	მზე, ღრუბელი +5 +16	მზე, ღრუბელი +5 +15
2 მარტი	3 მარტი	4 მარტი	5 მარტი	6 მარტი	7 მარტი	8 მარტი
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა